ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ72.722216410
თარიღი:13/06/2022

ჭიათურა, საჩხერის გზატკეცილზე შპს "ჯორჯიან მანგანეზ"-ის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე საწარმოო დანიშნულების სამი ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის შესახებ

"ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის "ნ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცით დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 93-ე და 99-ე მუხლების, 100-102-ე მუხლების, 108-116-ე მუხლების, "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქრთველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის № 255 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები"-ს 4-5-ე მუხლების, 10-21-ე მუხლების, 23-26-ე მუხლებისა და დანართი №1-ის, "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" IV და VI საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიეცეს დემონტაჟის ნებართვა შპს "ჯორჯიან მანგანეზ"-ს (ID№230085797) ჭიათურა საჩხერის გზატკეცილზე მის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 38.10.31.124) მდებარე საწარმოო დანიშნულების სამი (42.2 X 15.2 + 54.00 X 15.00 + 73.00 X 15.00) ამორტიზირებული შენობა-ნაგებობებისათვის, წარმოდგენილი დემონტაჟის პროექტის შესაბამისად.

2. მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს ექვსი თვის ვადით.

3. მშენებლობის დაწყების ვადა აითვალოს ბრძანების ჩაბარების დღიდან.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი საჩხერე, აღმაშენებლის ქ. №3) დაინტერესებული მხარის მიერ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გივი მოდებაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი